ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი

25.04.2025 წელი

10:30 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ვერიკო კვირკველია, დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, ნინო მშვიდობაძე, კარლო წილოსანი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი **პაატა ურუშაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) **რუსუდან გვარჯალაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში, გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** სხდომას აცნობა, რომ კომისიის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი **პაატა ურუშაძე.**

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში, გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** და აღნიშნა, რომ ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში განსათავსებლად სახელმწიფო მოღვაწემ, ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომლის ბაბუა ლაზარე ჯორბენაძე და მისი ძმა კირილე ჯორბენაძე იყვნენ გურული მხედრების ევროპასა და ამერიკაში გამგზავრების ორგანიზატორები, მათი და ჩიბათელი მხედრების (სულ თექვსმეტი კაცის) პატივსაცემად, სამხატვრო აკადემიას თავისივე ხარჯებით დაამზადებინა გურული მხედრების ძეგლი (ქანდაკება), რომელიც შესრულებულია ბაზალტის ქვის მასალით.

ჩიბათის მოსახლეობის თხოვნაა, ზემოხსენებული ძეგლი დაიდგას ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში.

კარლო კვიტაიშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ წინა კომისიის სხდომაზეც განიხილეს აღნიშნული საკითხი, მაგრამ საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი საკითხი არ იყო იმჟამად სრულყოფილი. უკვე მოხდა ამ საბუთების შესწორება და კომისიას შეუძლია კენჭი უყაროს საკითხს. მისი აზრით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე წლის 23 მაისს ჩიბათობაზე მოესწრება მონუმენტური ქანდაკების დადგმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს აღნიშნულ საკითხს და მოხარული იქნება თუ ძეგლი განთავსდება გურული მხედრების სახელობის სკვერში.

კომისიის წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №5 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **25.04.2025 წ.**

2025 წლის 25 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში, გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში, გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვა მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

25.04.2025 წელი
10:30 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი	10 25	
2. ნინო მშვიდობაძე	10 50	
3. დარეჯან ბურჭულაძე	10 40	
4. ლოლიტა ურუშაძე	10 30	
5. კარლო წილოსანი	10 27	
6. მაკა მშვიდობაძე	ის ესწრებოდა	
7. გოჩა ჯანაშია	ის ესწრებოდა	
8. რევაზ კვერენჩხილაძე	ის ესწრებოდა	
9. ელისო ჭიჭინაძე	ის ესწრებოდა	
10. ვერიკო კვირკველია	10 27	